



**Jugend- und Studentenring der
Deutschen aus Russland e. V.
(JSDR e. V.)**

22.05.2017

შეტყობინება პრესისთვის

(ორგანიზატორების ინფოკმაციის თარგმანი)

"უცხოეთში ულმის კოლოფებით (ბრტყელი ნავეებით)."

200 წელი ვიურტემბერგელების სამხრეთ კავკასიაში გადასახლების დღიდან.

შვაბიის დუნაის სანაპიროზე რუსეთის გერმანელების მიერ საზეიმოდ სამახსოვრო დაფის გახსნის ცერემონია ულმში.

კვირას, 2017 წლის 21 მაისს, შვაბიის დუნაის სანაპიროს ქალაქის კედელზე იყო დამაგრებული რუსეთის გერმანელების სამახსოვრო დაფა. დაფა მოგვაგონებს ათასობით გერმანელ ახალმოსახლეებზე, რომლებიც, ახალი სამშოლოს ძიებაში 200 წლის წინ გაემგზავრნენ დუნაით შავი ზღვის და სამხრეთ კავკასიის მიმართულებით. წინაპრებისადმი მიძღვნილი სამახსოვრო დაფის დადგმამ აღასრულა რუსეთიდან წამოსული გერმანელების მრავალწლიანი ოცნება.

სამახსოვრო დაფა

სამახსოვრო დაფის დადგმა და ძირითადი ღონისძიება იყო ორგანიზებული და ჩატარებული ორი კავშირის თანამშრომლობით— რუსეთის გერმანელების ფედერალური კავშირის და რუსეთის გერმანელების ახალგაზრდულ-სტუდენტური გაერთიანებისა. ამ ღონისძიებას მხარი დაუჭირა ქალაქ ულმმა და ბადენ-ვიურტემბერგის შინაგან საქმეთა, დიგიტალიზაციის და მიგრაციის სამინისტრომ. თავისი წვლილი შეიტანეს ორივე კავშირის საპატიო წევრებმა და შემომწირველებმა – კერძო პირებმა და ოჯახებმა, ძირითადად კავკასიის გერმანელებმა.

საზეიმო აქტი

სამახსოვრო დაფის საზეიმო გახსნისათვის დასასწრებად ჩამოვიდნენ სტუმრები და სხვადასხვა ფედერალური მიწების კავშირების და სხვა სახელმწიფოების აქტიური წევრები. საპატიო წევრების სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა რუსეთის გერმანელების ფედერალური კავშირის თავმჯდომარე იური ჰაიზერი, და აგრეთვე მრავალი პირი, რომელთა შორის იყვნენ –

ქალაქ ულმის ობერ-ბურგერმაისტერი გიუნტერ ჩიჟი, ბუნდესტაგის წევრი რონია კემერი (ქდკ) და დუნაის შვაბების ფედერალური თავმჯდომარე ჰანს სუპრიცი. მან გადაუხადა მადლობა დიდი ხნის მუშაობისათვის ფედერალურ რწმუნებულს გადმოსახლებულების საკითხებში ბუნდესტაგის წევრს (ქდკ.) დ-რ კრისტოფ ბერგნერს მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის. მან წაიკითხა მისი მიმასალმებელი სიტყვა, რადგან, სამწუხაროდ, ის ვერ დაესწრო საზეიმო ღონისძიებას. რუსეთის გერმანელების ფედერალური კავშირის თავმჯდომარე გულითადად მიესალმა საქართველოს გერმანელთა ასოციაციის პრეზიდენტს დ-რ გარი აუგუსტს, და აგრეთვე ოლეგ შტრალერს და მასთან მყოფ რუსეთის ფედერაციის გერმანული ორგანიზაციების წევრებს. იგი მიესალმა აგრეთვე ულმის საქალაქო სამმართველოს და ადგილობრივი კავშირების მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, რომელთა შორის იყვნენ დუნაის შვაბების სათვისტომოების და ფედერალური კავშირის ადგილობრივი ულმის ჯგუფის წარმომადგენლები.

სამახსოვრო დაფის დადგმა არ იყო თავისთავად ცხადი. მისი დადგმა გახდა შესაძლებელი ამისათვის გაწეული მრავალი პიროვნების მხარდაჭერისადმი. უღრმესი მადლობა ქალაქ ულმს, ბადენ ვიურტემბერგის შინაგან საქმეთა, დიგიტალიზაციის და მიგრაციის სამინისტროს. იური ჰაიზერმა გადაუხადა მადლობა საპატიო პირებს, რომლებმაც გახადეს შესაძლებელი სამახსოვრო დაფის დადგმა, მან წარმოადგინა კარლ კრომერი, ოჯახი შიულე და ქ-ნი ლუდნილა კოპი, რომლებიც იღებდნენ განსაკუთრებულ აქტივობას. თავის მისალმებაში ვოლდემარ ვაიცმა – ფედერალური სტუდენტური გაერთიანების თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ახალგაზრდა ახალმოსახლეთა ყველა თაობებისათვის მეხსიერების კულტურის მნიშვნელობას: "მხოლოდ ისტორიის მეშვეობით ახალგაზრდებს შეუძლიათ გაითავისონ თავი თავისი ოჯახის და ეთნიკური ჯგუფის წევრად. მხოლოდ მოგონებებით შეუძლიათ მათ გადაიტანონ ეს კავშირი მომავალში".

ობერ-ბურგერმაისტერ გიუნტერ ჩიჟმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს მოსახლეების შორეულ ქვეყნებში გადასახლება და მათი – დღევანდელი გერმანელების რუსეთიდან – უკან დაბრუნება. ულმი ინტერნაციული ქალაქია. იმისათვის, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ხალხმა მოიპოვოს აქ თავისი ახალი სამშობლო, ქალაქის ხელმძღვანელობამ დააარსა აქ საკოორდინაციო ერთეული "ინტერნაციონალური ქალაქი". ბუნდესტაგის წევრმა რონია კემერმა მიესალმა მომწყობლების ინიციატივას და აღნიშნა ის წვლილი, რომელიც შეიტანეს რუსეთიდან დაბრუნებულმა გერმანელებმა და მიმართა დამსწრე საზოგადოებას კიდევ მეტი ყურადღება მიაქციონ ახლად გადმოსახლებულებს. ალექსანდრე რაიზერის მიერ წაკითხულ ბუნდესტაგის წევრის დ-რ კრისტოფ ბერგნერის მისალმებაში განსაკუთრებული ყურადღება გაკეთდა შემდეგზე:

"მომავალში ჩვენ კიდევ მეტი დრო უნდა დაუთმოთ იმას, რომ რუსეთის გერმანელების კულტურული წყაროები გახდნენ თავისთავად ცხადები და საერთო კულტურული მემკვიდროება, და აგრეთვე რომ მათი კულტურა და ისტორია გახდნენ ნაწილი ჩვენი საერთო იდენტობისა".

ის, რომ რუსეთის გერმანელების წარმოშობის ქვეყნებში არსებობენ გერმანული წარმოშობის ადამიანების გაერთიანებები, მრავალი სტუმრისათვის აღმოჩნდა მოულოდნელი. დიდი ინტერესით მოისმინეს დ–რ გარი აუგსტის (საქართველო) და ოლეგ შტრალერის (რუსეთი) გამოსვლები. გარი აუგსტმა, როგორც ფიზიკოსმა, აღნიშნა ის ისტორიული მოვლენა, რომელსაც მკვლევარები ხშირად არ ითვალისწინებენ 200 წლის წინ მომხდარი ემიგრაციის მიზეზების შეფასებისას, კერძოდ 1815 წელს მომხდარ ინდონეზიაში ვულკან ტამბორას ამოფრქვევას, რომელმაც მოიტანა ევროპაში უზარმაზარი ფერფლის ღრუბელი, რომელმაც გამოიწვია მომდევნო წლებში ზაფხულის და შესაბამისად მოსავლის არარსებობა.

ზოგადი კულტურული პროგრამა

მშობლიური მელოდიები, სიმღერა აკორდეონის თანხლებით წისფერი დუნაის ნაპირზე – განუმეურებელი ატმოსფერო შექმნეს გუნდმა "მშობლიური მელოდიები" და კვარტეტმა "რუდემუსმა" აუგსბურგიდან. გუნდის ხელმძღვანელის ალიონა ჰაიზერის ემოციურ ფონზე, მათთან ერთად ამღერდნენ მსმენელებიც. ღონისძიების მონაწილეთათვის გაიმართა ექსკურსია ქალაქ ულმში და გასეირნება დუნაიზე "ულმერ შახტელით". მშვენიერმა მზიანმა ამინდმა აგრეთვე იზრუნა სტუმრების განწყობილებაზე. ორგანიზატორებმა გაშალეს კარავი, სადაც სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეტარებინათ დრო კარგი მასპინძლობით და სასმელებით. საზეიმო ცერემონიის თანხლები ბროშურა, რომელიც იძლევა მოკლე ისტორიულ მიმოხილვას რუსეთის გერმანელების წასვლის და დაბრუნების, სწრაფად გავრცელდა სტუმრებს შორის. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ ეს ბროშურა ინტერნეტში რუსეთიდან წამოსული გერმანელების ახალგაზრდულ–სტუდენტურ გაერთიანების საიტზე ან დაუკვეთონ იგი ორგანიზატორებს ელექტრონული ფოსტით.

ორგანიზატორები:

**Bundesverband der Deutschen aus
Russland e. V. (BVDR e. V.)**
Blücherstr. 89, 86165 Augsburg, E-Mail:
BVDR@gmx.de; [www.russlanddeutsche-
vereine.de](http://www.russlanddeutsche-vereine.de)
Vorsitzender: Juri Heiser

**Jugend- und Studenterring der Deutschen aus
Russland e. V. (JSDR e. V.)**
Schlossstr. 92, 70176 Stuttgart, E-Mail:
kontakt@jsdr.de, www.jsdr.de ,
www.facebook.com/jsdr.eV.de
Bundesvorsitzende: Julia Iwakin und Waldemar
Weiz